

მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში

მედიის მონიტორინგის შუალედური ანგარიში

ადამიანის უფლებათა ცენტრი

(III პერიოდი, 10 ნოემბერი - 31 დეკემბერი)



ალეკო ცქიტიშვილი  
სალომე აჩუა  
შორენა ლათათია  
თეა თოფურია

## რეზიუმე

ადამიანის უფლებათა ცენტრი 2011 წლის 10 ნოემბრიდან 31 დეკემბრის პერიოდში ჩატარებული მედიამონიტორინგის ფარგლებში, აკვირდებოდა ქართულ მედიასაშუალებებში მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების ტენდენციებს.

კვლევა ჩატარდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული გაეროს განვითარების პროგრამის მედიის მონიტორინგის პროექტის ფარგლებში. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ადამიანის უფლებათა ცენტრის მედიამონიტორებს და შესაძლოა, არ ასახავდეს ევროკავშირის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.

მონიტორინგის ჯგუფმა მოაგროვა ინფორმაცია ამ საკითხისთვის დათმობილი სივრცისა და დროის, მასალების გეოგრაფიის, ინფორმაციის წყაროების, სუბიექტების გაშუქების ტონის და ტიპის, ობიექტურად გაშუქების, უდანაშაულობის პრეზუმფციისა და სუბიექტების მიმართ გამოყენებული არაეთიკური ლექსიკის თაობაზე. მედიამონიტორინგის ჯგუფი აკვირდებოდა შემდეგ მედიასაშუალებებს:

- გაზეთი „ალია“;
- გაზეთი „რეზონანსი“;
- გაზეთი „ახალი თაობა“;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „მომხმე“;


### მედიასაშუალებები შეირჩა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- „საზოგადოებრივი მაუწყებლისა“ და შერჩეული გაზეთების დაფარვის ზონა მთელი საქართველოა;
- შერჩეული მედიასაშუალებები შედარებით მეტადაა ფოკუსირებული მედიამონიტორინგის თემაზე - მართლმსაჯულებაზე;
- „საზოგადოებრივი მაუწყებელს“, საზოგადოების ინფორმირების კუთხით, კერძო ტელევიზიებზე გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება. სწორედ ამიტომ მედიამონიტორინგისთვის მედიასაშუალებების შერჩევისას, კერძო ტელევიზიებსა და საზოგადოებრივი მაუწყებელს შორის არჩევანი ამ უკანასკნელზე შევარჩევით;

### კვლევის ძირითადი შედეგები

2011 წლის 10 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე კვლევისთვის შერჩეული მედიასაშუალებებიდან ჯამში გაანალიზდა 57 სიუჟეტი და 103 სტატია. სიუჟეტების საერთო დრომ შეადგინა 3 საათსა და 36 წუთს, ხოლო სტატიების საერთო ფართობია 22 697 სმ.კვ.


### სტატიების ფართობის პროცენტული განაწილება გაზეთების მიხედვით




**რაოდენობრივი მონაცემები**

**სტატიების და სიუჟეტების თემატიკა**


მედიამონიტორინგის წინა პერიოდებისგან განსხვავებით, გამოძიების ეტაპზე არსებული საქმეების გარდა, გაზეთები აქტიურად აშუქებდნენ პატიმრების უფლებებს და სასამართლო პროცესებს.




კვლევის განმავლობაში, ბეჭდური მედიიდან მხოლოდ „ალიაში“ შეგვხვდა ჟურნალისტური მოკვლევის ტიპის მასალა. მას, მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული სტატიების საერთო ფართობის 7% დაეთმო.



მონიტორინგის წინა პერიოდისგან განსხვავებით, „რეზონანსში“ პატიმრების უფლებებზე მომზადებულმა მასალებმა საგრძნობლად იმატა. მან, მართლმსაჯულებისთვის დათმობილი მასალების საერთო ფართობის 39% შეადგინა, მაშინ როცა, მონიტორინგის წინა პერიოდში, პატიმრების უფლებებს მხოლოდ 13% დაეთმო.




„მოამბეში“ ყველაზე ხშირად გამოძიების ეტაპზე არსებული საქმეები გაშუქდა, წინა პერიოდის მსგავსად, კვლავაც ცოტა დრო დაეთმო პატიმრების უფლებებთან და სასჯელადსრულების დაწესებულებებთან დაკავშირებულ საკითხებს (4%)



**სტატიებისა და სიუჟეტების გეოგრაფია**


მონიტორინგის მესამე პერიოდშიც, მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული თემები ყველაზე ხშირად დედაქალაქიდან შუქდებოდა. თბილისიდან მომზადებული მასალების მაჩვენებელი „რეზონანსში“ 92 %-ს შეადგენს, „ალიაში“ კი - 88%-ს. რაც შეეხება „ახალ თაობას“, მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ამ გამოცემაში, სხვა გაზეთებთან შედარებით, უფრო ხშირად ქვეყნდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან მომზადებული მასალები.



მონიტორინგის დროს გაანალიზდა საზღვარგარეთის ქვეყნებში მომხდარი კრიმინალური შემთხვევების შესახებ მომზადებული მხოლოდ ისეთი სიუჟეტები და სტატიები, რომლებიც მეტ-ნაკლებად შეეხებოდა საქართველოს მოქალაქეებს. უცხოური

კრიმინალური ზოგადი ქრონიკა ამჯერად არ წარმოადგენდა მონიტორინგის ინტერესის საგანს.


„მომბე“ წინა პერიოდის მსგავსად, გაზეთებთან შედარებით უფრო მეტად ახერხებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან მასალების მომზადებას. თუმცა, მასალების დიდი ნაწილი (52%) კვლავაც თბილისში მომხდარ მოვლენებს ეხებოდა.




**სუბიექტების გაშუქების დრო/სივრცე ტონი და ტიპი (პირდაპირი/ირიბი)**

სამივე გაზეთში ყველაზე ხშირად გაშუქებული სუბიექტებია: ბრალდებული, პატიმარი, სასამართლო, არასაპარლამენტო ოპოზიცია.


„ახალი თაობა“ და „ალია“ სუბიექტებს, უმეტესწილად, ნეიტრალურად და უარყოფითად აშუქებენ, „რეზონანსში“ კი, ხშირად ვხვდებით დადებითად გაშუქებასაც.



### “რეზონანსი”




### “ალია”




მომხმეში ყველაზე ხშირად გაშუქდნენ ბრალდებულები, დაზარალებულები, შსს

## “მოამბე” სუბიექტების გაშუქების დრო


■ წმ



წინა პერიოდის მსგავსად, „მოამბეში“ კვლავ ხშირია ბრალდებულების უარყოფითი ტონით გაშუქება. სუბიექტებიდან ნაწილობრივ დადებითი ტონით მხოლოდ შსს, სასამართლო და დაზარალებული გაშუქდნენ. დანარჩენ სუბიექტებს „მოამბე“, როგორც წესი, ნეიტრალურად აშუქებს. საინტერესოა, რომ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ „მოამბეს“ სიუჟეტებში ყველაზე ხშირად ჩანან შსს-ს კონსტიტუციურ უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე სოსო თოფურიძე და შსს-ს დეტექტივი გიორგი ბუხრაშვილი. როგორც ჩანს, მათ შსს-სგან ერთგვარი მედიასპიკერის ფუნქცია აკისრიათ.



„მოამბე“ სუბიექტებს უფრო ხშირად ირიბად აშუქებს. შედარებით ხშირად პირდაპირ შუქდება შემდეგი სუბიექტები: მოწმე/თვითმხილველი, შსს, სასამართლო, დაზარალებული/მსხვერპლი.



თვისებრივი მონაცემები

## **ინფორმაციის წყაროები, ბალანსი, ობიექტურობა, მიუკერძოებლობა**

გაზეთებისთვის კვლავაც პრობლემაა ბალანსის საკითხი. სამივე გამოცემის შემთხვევაში, შეიმჩნევა კომუნიკაციის ნაკლებობა ოფიციალურ სტრუქტურებსა და ჟურნალისტებს შორის, რაც გაზეთებში ხელისუფლების წარმომადგენელთა კომენტარების სიმცირეშიც გამოიხატება. რიგ სტატიებში ჟურნალისტები განმარტავენ, რომ სცადეს სახელისუფლებო ან სამთავრობო წრეების წარმომადგენლებთან დაკავშირება კომენტარის მოპოვების მიზნით, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს, ან რესპონდენტმა თავად განაცხადა უარი კონკრეტული გამოცემებისთვის კომენტარის მიცემაზე. ინფორმაცია ხშირად არაა გადამოწმებული ორ ან მეტ წყაროსთან, როგორც ამას ჟურნალისტური სტანდარტი მოითხოვს. „ალიაში“ კვლავაც ხშირია ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობილი მასალები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზოგადოებრივი მაუწყებლის დღის მთავარი საინფორმაციო გადაცემა „მოამბე“ უმეტესად კვლავ გამოძიებასთან დაკავშირებულ საკითხებს აუქვებს. ამ თემაზე მომზადებული პრაქტიკულად ყველა სიუჟეტი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ვიდეომასალებს და ვერსიებს ეფუძნება. ამ მასალებს ჟურნალისტები არ აანალიზებენ და პირდაპირ შსს-ს პოზიციებს ახმოვანებენ, რის გამოც სიუჟეტები ხშირად ტენდენციური და მიკერძოებული ხასიათისაა. ნაკლებად ჩანს ბრალდებულთა ოჯახებისა და მათი ადვოკატების პოზიცია. მათი კომენტარები გამოყენებულია ისეთ შემთხვევებში, როცა ისინი შსს-ს ვერსიებს ამყარებენ. ჟურნალისტები არ ცდილობენ, რესპოდენტების ჩვენებებზე დაყრდნობით, გააკეთონ შსს-სგან განსხვავებული და დამოუკიდებელი დასკვნები. მაგალითად, 25 ნოემბერს მე-8 სიუჟეტში - „მალაჩინოსნების დაკავება“, რომელიც სატენდერო მაქინაციებს ეხებოდა, სენაკის გამგებლის მოადგილემ ერთ-ერთ ბრალდებულზე განაცხადა, რომ იგი შვებულებაში იმყოფებოდა და სატენდერო კომისიაზე გავლენას ვერ მოახდენდა. ამ რესპოდენტის ჩვენების მიუხედავად, ჟურნალისტი არ ცდილობს, გადამოწმოს ეს ალიბი და კრიტიკულად გააანალიზოს შსს-ს მიერ გავრცელებული ბრალდებები.

დაბალანსებული, საზოგადოების ინტერესებზე ბოლომდე გათვლილი და სრულყოფილად მომზადებული სიუჟეტები „მოამბეში“ გამონაკლისის სახით გვხვდება. ასეთი გამონაკლისია 15 ნოემბერს გასული #8 სიუჟეტი - „განრიდებისა და მედიაციის პროგრამა“, რომელშიც კარგად არის ახსნილი განრიდებისა და მედიაციის პროგრამის არსი. წყაროები საკმარისია. ჟურნალისტი მაყურებელი უხსნის, რომ „ნულოვანი ტოლერანტობის“ შემდეგ ამ პროგრამით ხელისუფლება ცდილობს, შეცვალოს დამოკიდებულება და იყოს მეტად ლიბერალური დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნების მიმართ.

## **არაეთიკურობა**

მონიტორინგის განმავლობაში, რამდენჯერმე შეგვხვდა მასალები, რომლებიც მონიტორინგის ჯგუფმა არაეთიკურად მიიჩნია. მაგ: 21-27 ნოემბრის „ქრონიკაში“ გამოქვეყნდა მოკლე ინფორმაცია სათაურით: „**საფრანგეთში ქართველებისგან, რუსებისგან და სომხებისგან შემდგარი ბანდა დააკავეს**“. ჟურნალისტური სტანდარტის მიხედვით, კრიმინალური შემთხვევების გაშუქებისას არაეთიკურად ითვლება ბრალდებულთა

ეთნიკური წარმომავლობის დაკონკრეტება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დანაშაული ეთნიკურ ნიადაგზეა ჩადენილი. ასეთმა ხაზგასმამ, შესაძლოა, ამა თუ იმ ეროვნების მისამართით ნეგატიური სტერეოტიპების დამკვიდრება გამოიწვიოს.

„ახალი თაობის“ 12-13 დეკემბრის სტატიაში, სათაურით : „ხათუნა კალმახელიძე უცხოპლანეტელივით ალაპარაკდა“, ვხვდებით სექსისტურ გამონათქვამსაც. ჟურნალისტი ხაზგასმით აღნიშნავს: „მინისტრი ქალი ყვება, რომ...“. მასალაში ჟურნალისტი ყოველგვარი საჭიროების გარეშე უსვამს ხაზს მინისტრის სქესს, რაც გენდერული თანასწორობის პრინციპის არცოდნასა და გარკვეულ სტერეოტიპულ მიდგომაზე მიანიშნებს.

### **უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ნიშნები**

„ახალი თაობის“ 13 დეკემბრის კრიმინალური ქრონიკის ერთ-ერთ მასალაში გამოყენებულია სათაური: „ქარელში 22 წლის ნინო ხაბეიშვილმა ქმარი მოკლა“. ჟურნალისტი სათაურშივე ადანაშაულებს ბრალდებულს, შემდეგ კი წერს: „ქარელის რაიონის სოფელ დირბში 22 წლის ნინო ხაბეიშვილმა საკუთარი მეუღლე, 36 წლის მამუკა ცერცვაძე ცივი იარაღით მოკლა. ხაბეიშვილმა ქმარს დანა გულმკერდის არეში დაარტყა. ინციდენტის მიზეზი ოჯახური კონფლიქტი გახდა“. ჩადენილი დანაშაულის აღწერა ასეთი მტკიცებითი ფორმით არღვევს პირის უდანაშაულობის პრეზუმფციას. მით უფრო, როცა მასალაში მითითებული არ არის, რას ეფუძნება ინფორმაცია - თვითმხილველების ნაამბობს თუ გამოძიების ინფორმაციას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეხუთე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით“.

მსგავსი მასალები „ახალ თაობაში“ მასობრივ ხასიათს არ ატარებს. თუმცა, გვხვდება უდანაშაულობის პრეზუმფციის სრული დაცვით შედგენილი მასალებიც.

მედია მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ „მოამბეს“ ჟურნალისტები ვერ ერკვევიან სამართლებრივ ტერმინოლოგიაში. ისინი ხშირად არასწორად იყენებენ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ ტერმინებს. ამის გამო ზოგჯერ გადმოცემული ამბის დეტალები გაუგებარია, ზოგჯერ კი ჟურნალისტი უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევად გვევლინება.

მაგალითად, 22 ნოემბერს „მოამბეს“ #4 სიუჟეტის სათაურია „გამომძაღველის დაკავება“. 24 ნოემბერს კი #7 სიუჟეტს ჰქვია „მექრთამეების დაკავება“. თანაც ამ სიუჟეტის დასაწყისში დიქტორი ჯერ კიდევ გაუსამართლებელ ადამიანებს პირდაპირ დამნაშავეებს უწოდებს.

არაკვალიფიციურობისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის თვალნათელი მაგალითია 5 დეკემბრის „მოამბის“ #4 სიუჟეტი „გახსნილი მკვლელობა“. დიქტორი ამბობს: „სამართალდამცველებმა ტაქსის მძღოლის მკვლელობასა და მისი მანქანის გატაცებისათვის ბრალდებული აიყვანეს... მკვლელმა მანქანაც გაიტაცა. დამნაშავეს ცოტა ხანში ავტოსაგზაო შემთხვევა მოუვიდა. ექვმიტანილს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება“. სამ-ოთხ წინადადებაში მოცემულია ურთიერთსაწინააღმდეგო ეპითეტების ნაზავი, დაკავებული პიროვნება ერთდროულად „ბრალდებულიცაა“, „მკვლელიც“, „დამნაშავეც“ და „ექვმიტანილიც“.

მედიამონიტორინგის პროცესში უდანაშაულობის პრეზუმფციის კიდევ უფრო უხეში დარღვევები დაფიქსირდა ისეთ სენსიტიურ თემებთან დაკავშირებით, როგორცაა ოჯახური ძალადობა. მსგავს თემებზე მუშაობისას ჟურნალისტებმა მეტი ყურადღება და სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ. 30 ნოემბერს #2 სიუჟეტს - „ძალადობა არასრულწლოვანზე“ ჟურნალისტი ასე იწყებს: „დღეს ჩვენ მოგიყვებით 10 წლის მოზარდის ისტორიას, რომელიც საკუთარი დედისგან ფსიქოლოგიური, ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლია“. შემდეგ ჟურნალისტი ამბობს: „პარალელურად აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. რა დამატებითი საჩქები დაუწესდება მოძალადე დედას, ეს გამოძიების დასრულებისას გახდება ცნობილი“. სიუჟეტში პირდაპირ აჩვენებენ ბავშვის დედას, ბებიას და ნათლიას. ამ გზით, არასრულწლოვანი, ფაქტობრივად, იდენტიფიცირებულია და ჟურნალისტი არღვევს პროფესიულ ეთიკას. რესპოდენტების სახეებიც ისევე უნდა ყოფილიყო დაფარული, როგორც არასრულწლოვანის.

საინტერესოა 12 დეკემბრის „მოამბის“ #5 სიუჟეტი - „ოჯახური ტრაგედია“, სადაც დიქტორი ბრალდებულ ქალს, რომელმაც საკუთარი ქმარი მოკლა, პირდაპირ დამნაშავეს უწოდებს: „მკვლელობის შემდეგ დამნაშავემ მეზობლებს შეატყობინა, რომ მისმა ქმარმა თავი მოიკლა, მოგვიანებით კი დანაშაული აღიარა“. სიუჟეტში საუბარია ოჯახურ კონფლიქტზე. ერთ-ერთი მეზობელი ბრალდებულის მისამართით ამბობს: „სულ ჩხუბი ჰქონდათ სახლში. ტაპორი დაკარგეს და იმას უპოვეს მერე ბალიშის ქვეშ“. თუკი ოჯახში კონფლიქტი არსებობდა, ჟურნალისტი უნდა დაინტერესებულიყო, მკვლელობა ხომ არ იყო ჩადენილი თავდაცვის მიზნით. სიუჟეტში გაჟღერებულია სტერეოტიპული დამოკიდებულება, რომ ქალი ჩუმად უნდა იყოს და ოჯახში არსებულ პრობლემებზე თვალი უნდა დახუჭოს. ერთ-ერთი რესპოდენტი ამბობს: „თუ ოჯახი გინდა და ქმარი გინდა, ცოტა ჩუმად ხომ უნდა იყვე, არა?“

### **ჟურნალისტების კვალიფიციურობა**

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ჟურნალისტების ნაწილს ზოგჯერ უჭირს საქმის სამართლებრივ ასპექტებში გარკვევა. ვხვდებით იურიდიული ტერმინების არასწორად გამოყენებასაც. 2011 წლის 23 დეკემბრის „ახალ თაობაში“ გვხვდება მასალა სათაურით: „ივანიშვილისა და მისი მეუღლის საქმეზე განაჩენი 26 დეკემბერს გამოცხადდება“. განაჩენი ყოველთვის დგება სისხლის სამართლის საქმეზე, მასალაში კი ადმინისტრაციულ საქმეზეა საუბარი.

„მოამბეს“ ჟურნალისტები ხშირად ერთმანეთისგან ვერ არჩევენ უბედურ შემთხვევას და მკვლელობას. 13 დეკემბერს „მოამბეს“ დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე #24 სიუჟეტად გავიდა სიუჟეტი სათაურით „ტრაგიკული შემთხვევა“. დიქტორის ფრაზა: „მოსკოვის გამზირზე უბედური შემთხვევა მოხდა. მამაკაცს სავარაუდოდ თავში ნაჯახი აქვს ჩარტყმული“. სიუჟეტის ბოლოს კი დიქტორმა მაყურებელს შეახსენა: „ნიკა მოლოდინაშვილი საუბრობდა მოსკოვის გამზირზე მომხდარი მკვლელობის შესახებ“. უბედური შემთხვევა და მკვლელობა ერთმანეთთან ასევე გაიგივებულია 19 დეკემბერს #9 სიუჟეტში „მკვლელობა გურიაში“.

## დასკვნა

მედია მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ შერჩეულ მედიასაშუალებებს კვლავაც აქვთ გარკვეული პრობლემები პროფესიული სტანდარტების დაცვის კუთხით, მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობისას. მასალები ხშირად არაა დაბალანსებულად და მიუკერძოებლად მომზადებული, მოსაზრება და ფაქტები ერთმანეთისგან არაა გამიჯნული. „მოამბეს“ ჟურნალისტები შსს-ს ვერსიებს და პოზიციებს უკრიტიკოდ ავრცელებენ. კიდევ ერთი პრობლემა, რაც მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, არის ჟურნალისტების კვალიფიციურობის საკითხი. ხშირად ჩანს, რომ ისინი კარგად ვერ ერკვევიან საკითხში, მის სამართლებრივ ასპექტებში, საკანონმდებლო ბაზაში. ჟურნალისტები რიგ შემთხვევებში, ერთმანეთში ურევენ სამართლებრივ ტერმინებსაც.

ერთი დადებითი ტენდენცია, რაც მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, არის ის, რომ ბეჭდურ მედიაში, თემების შერჩევასაც, ჟურნალისტებს არა აქვთ შეზღუდვა, არ მოქმედებს ცენზურა. მონიტორინგისთვის შერჩეული გაზეთები, თემატიკის სიმწვავის მიუხედავად, თამამად აშუქებენ ადამიანის უფლებების დარღვევასთან, ციხეებში პატიმრებისადმი სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებულ საკითხებს.